



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87.8722095001

თარიღი: 05/04/2022

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №3

ქ. ახმეტა 30 მარტი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, გ. ქიბროწაშვილი,
გ. შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, გ. მამუჩარაშვილი,
ბ. კაიშვილი, ზ. ფიცხელაური, რ. გახუაშვილი
შ. ტერტერაშვილი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის
წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის N26 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების
დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

8. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

10. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი /

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მიღისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს; საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ მასში ასახული არ არის საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების შვებულებისა და მივლინების საკითხები.

დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატა შემდეგი შინაარსის 17¹ მუხლი:

„მუხლი 17¹. საკრებულოს თანამდებობის პირის შვებულება. საკრებულოს წევრის სამსახურებრივი მივლინება

1. საკრებულოს თანამდებობის პირს შვებულება ეძლევა „საჯარო სამსახურის შესახებ“

საქართველოს კანონის 62-ე და 64-ე მუხლებით დადგენილი წესით.

2. შვებულების პერიოდში საკრებულოს თანამდებობის პირს უჩერდება თანამდებობრივი და საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

3. საკრებულოს წევრის (მათ შორის, თანამდებობის პირის) ქვეყნის ფარგლებში და მისი ფარგლების გარეთ მივლინებით გაგზავნის, მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობა და პირობები განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და „პროფესიული საჯარო მოხელის მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებით.

4. საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებისა და სამსახურებრივი მივლინების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, ხოლო საკრებულოს სხვა წევრების (მათ შორის, თანამდებობის პირების) მიმართ - საკრებულოს თავმჯდომარე.

5. საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებისა და სამსახურებრივი მივლინების საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება მოწვეულ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.“

პროექტი განხილულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

მდისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზნში არის საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნების/პრიორიტეტების შესასრულებლად, შესაბამისი სფეროების გაძლიერების მიზნით შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე რეორგანიზაცია (მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება ახალი სტრუქტურა და ახალი საშტატო ნუსხა).

ძალადაკარგულად ცხადდება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 31 დადგენილება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიხედვით საშტატო ნუსხაში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები .

შ. ტერტერაშვილმა დასვა შეკითხვა: რის საფუძველზე ხდება ტურიზმის განყოფილების გაუქმება.

დაბუღაძე: შრომის პროცესში გამოიკვეთა, რომ შესრულებული სამუშაოს პროდუქტიულობა არ არის ისეთი ნაყოფიერი, რასაც ველოდით. აქედან გამომდინარე ვცვლით სამუშაოს აღწერილობას და მისი ფუნქციები დაემატება საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

შ.ტერტერაშვილი: შეიძლება პიროვნებებმა ვერ იმუშავეს, მაგრამ ამ მიზეზის გამო არ შეიძლება სამსახური გაუქმდეს.

ი.ქარუმაშვილმა აღნიშნა, რომ მერს ყავს მრჩეველი ტურიზმის საკითხებში და ამ კუთხით უკეთესად წარიმართება მუშაობა .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მღოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: რეორგანიზაციის შედეგად ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოიკვეთა გარკვეული ცვლილებების აუცილებლობა, რომელიც აისახება დებულებაში.

ცვლილება შევიდა მერიის დებულების მე-5, მე-8, მე-10, მე-12 და მე-13 მუხლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მღოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: რეორგანიზაციის პროცესში, შემუშავებული იქნა ახალი სტრუქტურის შესაბამისი დებულება, რომლის მიხედვით :

სამსახურის სტრუქტურა შედგება ორი განყოფილებისაგან.

შეიცვალა მეორადი სტრუქტურული ერთეულის--საზოგადოებასთან ურთიერთობის და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება--საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროექტების განყოფილებით;

ადამიანური რესურსების მართვა გადავიდა სამსახურის უფროსის პირდაპირ დაქვემდებარებაში. დებულება შედგება 5 მუხლისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მღოსმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურის შესაბამისი სამსახურის დებულების შექმნა რეორგანიზაციის პროცესში, სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების, მოხელეთა შრომის ხაყოფიერების და განხორციელებული საქმიანობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მიზანშეწონილია ქონების მართვის და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების დაყოფა ქონების მართვის განყოფილებად და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებად, ხოლო ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების გადატანა ადმინისტრაციულ სამსახურში. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების შემდეგ ეკონომიკის სამსახურში იქნება შემდეგი 3 განყოფილება: ა) ქონების მართვის განყოფილება ბ) შესყიდვების განყოფილება გ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

დებულება შედგება 6 მუხლისაგან:

მუხლი 1. მერიის ეკონომიკის სამსახურის სტატუსი

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

მუხლი 4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციები

მუხლი 5. შესყიდვების განყოფილების ფუნქციები

მუხლი 6. ქონების მართვის განყოფილების ფუნქციები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მოხსენებელი: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოხსენებელმა განმარტა საკითხი: რეორგანიზაციის პროცესში, სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების, მოხელეთა შრომის ნაყოფიერების, განხორციელებული საქმიანობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის ფუნქციების განხორციელება შესაძლებელია უფრო ნაკლები ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყენებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა ახალი სტრუქტურის შესაბამისი დებულება, რომლის მიხედვით :

--სამსახურის სტრუქტურა შემცირდა, გაუქმდა მეორადი სტრუქტურული ერთეული, განყოფილების ფუნქცია გადავიდა სამსახურის ფუნქციებში,

--დებულება შედგება 3 მუხლისაგან:

მუხლი 1. მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სტატუსი,

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა,

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მოხსენებელი: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს: რეორგანიზაციის პროცესში გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურს დაემატოს ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებიც. აქედან გამომდინარე, სამსახურს ემატება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის ძირითადი ფუნქციები იქნება „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ და „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების გატარება და ბავშვის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება.

პროექტის მიხედვით დებულება შედგება 4 მუხლისაგან. პირველ მუხლში საუბარია ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურზე, მეორე მუხლში - სამსახურის სტრუქტურაზე, მესამე მუხლში - სამსახურის ფუნქციებზე, ხოლო მეოთხე მუხლში - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფუნქციებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მოხსენებელი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოხსენებელმა განმარტა საკითხი: ვინაიდან რეორგანიზაციის შედეგად, იქმნება ქონების მართვის განყოფილება, მუნიციპალურ ქონების მართვის ერთიანი, ეფექტური სისტემის შექმნის, აგრეთვე საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების ფუნქცია (საიჯარო ქირის გადახდაზე მონიტორინგი) გადატანილი იქნას ქონების მართვის განყოფილებაში.

რეორგანიზაციის პროცესში გამოიკვეთა, რომ იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების ფუნქციას - ადმინისტრირება გაუკეთოს მოიჯარეების მიერ საიჯარო ქირის გადახდას, უფრო ნაკლები რესურსის გამოყენებით შეძლებს ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყოფილება, ვინაიდან ქონების გადაცემისთანავე დაიწყება ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე სრული მონიტორინგი.

დადგენილება შედგენა 2 მუხლისაგან. პირველი მუხლის მიხედვით იურიდიული სამსახურის დებულებიდან ამოღებული იქნება მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი - აწარმოოს კონტროლი მოიჯარეთა მიერ მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებით დადებული საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე (საიჯარო ქირის

გადახდაზე მონიტორინგი). მეორე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ამოქმედების თარიღი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მდისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს საკითხი: შემოსულობების, გადასახადების და სხვ. შესახებ;

შემოსულობები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 17786,8 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 18953,9 ათასი ლარი. წლიური გეგმის 106,6% (საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენდა 11906,5 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 13109,1 ათასი ლარი. გეგმის 110,1 %)

შემოსავლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - **17636,8** ათ. ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 18700,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის 106,0% (საკუთარი შემოსავლების ოდენობა გეგმით შეადგენდა 11756,5 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 12855,7 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - 150,0 ათ. ლარით. 12 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 253,4 ათ. ლარი. წლიური გეგმის 168,9%.

გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა - 10990,3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 11654,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 106,0 %. საიდანაც

დამატებული ღირებულების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 9590,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 9846,3 ათასი ლარი. გეგმის 102,7%.

ქონების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობა - 1400,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 1808,5,0 ათ.ლარი. გეგმის 129,2% აქედან,

- საქარმოთა ქონების ფაქტიური შემოსავალი - 1203,4 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მოცულობის (1090,0 ათასი ლარი) 110,4 %.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი იყო 0 ლარი, ფაქტიურად შემოსულია 12,6 ათ. ლარი.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ფაქტიური შემოსავალი - 497,3 ათასი ლარი წლიური საპროგნოზო მოცულობის (274,0ათასი ლარი) 181,5%.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ფაქტიური ოდენობა - 95,2 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (36,0 ათასი ლარი) 264,3%

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების (ტრანსფერები) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 6030,3 ათასი ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 5994,8 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,4%. მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) - 245,0 ათ. ლარი. აქედან:

- „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების (მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა) დასაფინანსებლად 95,0 ათ. ლარი.
- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად 72,8 ათ. ლარი
- „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად 77,2 ათ. ლარი

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიღებული იქნა 5749,8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 616,2 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1050,9 ათ. ლარი. წლიური გეგმის 170,6 %.

აგრეთვე მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთების საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და

ბოლოსათვის.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 2260.6 ათ. ლარი. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთია 886.3 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ნაშთი - 1374.3 ათასი ლარი (სპეც. ტექნიკის რემონტისათვის გამოყოფილი თანხიდან 64,0 ათ. ლარი), რომელიც განაწილებულ იქნა 2021 წელს განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

საანგარიშო წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 3398,6 ათ. ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთია 778,0 ათ. ლარი, ხოლო 2620,6 ათ. ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი, საიდანაც 42,5 ათ. ლარი არის სპეც. ტექნიკისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთი.

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 20047,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 17816,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88,9%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11106,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 10344,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,1%-ია.

მომხსენებელმა უპასუხა კითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

მისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს. აღნიშნა რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა ხდება სოფლის მოსახლეობასთან შეთანხმებით, ფორმდება შესაბამისი ოქმი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12²⁰ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

